ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №359/01/39

CPV: 50112000 - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

ქ. თბილისი 2 აპრილი,2013 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორი გიგა უმეკაშვილის სახით (მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორეს მხრივ, შპს „ავტოსერვისცენტრი+" მისი დირექტორის სილვა შამუგიას სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების 2008 წელს გამოშვებული Ford Explorer სახ. NBDB-267, ტექნიკური შეკეთების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 მომსახურება ითვალისწინებს: Ford Explorer მარკის ავტომობილების ტექნიკურ შეკეთებას დანართის მიხედვით;

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 236 (ორასოცდათექვსმეტი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი 5 დღეზე მეტი დაგვიანებით ან უხარისხოდ გაწეული მომსახურების, და/ან უხარისხო სათადარიგო ნაწილების მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე.

3.2 მომსახურების გაწევის დროს, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკები ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

3.3 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტომანქანა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 ავტომანქანების მომსახურება წარმოებს მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული დეფექტური აქტის ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა, მოცულობა და შესრულების ვადები.

4.2 თუ დეფექტური აქტის მიხედვით საჭიროა სათადარიგო ნაწილების გამოცვლა, შემსყიდველი უფლებამოსილია თვითონ შეისყიდოს ისინი და გადასცეს მიმწოდებელს სამუშაოების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი არ აგებს პასუხს სათადარიგო ნაწილების ხარისხზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურეობის საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება.
- შემსყიდველის მიმართვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად.
- მიანიჭოს პრიორიტეტული უფლება ავტომანქანებს მომსახურეობაზე, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურეობას.
- უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების დაუყოვნებლივ შესრულება..
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ

ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 10 აპრილის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სააგენტოს საფინანსო სამსახურის უფროსი ვასილ მარდალეიშვილი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი : გიგა უმეკაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. "ავტოსერვისცენტრი+", მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ#68; ს/კ200243441, ს.ს ,,თიბისი ბანკი", ბანკის კოდი:TBCBGE22, ა/ნ:GE84TB1800936020100003

დირექტორი: სილვა შამუგია

(ხელმოწერა)

0607060

[illegible]	სს "[illegible]" [illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	FORD [illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	

№	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	№	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	2	0	47,20	94,40						0,00
2	[illegible]	2	0	70,80	141,60						
[illegible]					235,00	[illegible]					0,00
[illegible]						[illegible]					

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]